საიუბილეო ვახტზე მთელი ჩვენი ქვეყანა

50 ოქტომბერი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 209 (13901) | ოთხშაბათი, 6 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

მასების აქტივობა და რეფორმა

ПРАВДА

5 სექტემბრის მოწინავე

ბევრი ახალი შრომითი გამარჯვებაა მოპოვებული დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. ქვეყანას ახარებს ცნობები, რომ მწყობრში ჩადგა მსხვილი საწარმოება — მრავალი ათასი ადამიანის შრომის შედეგი. ახარებს ცნობებიც, რომ მუშებმა შეასრულეს თავიანთი პირადი ვალდებულებანი. ხალხის ინიციატივის ნაკადულები, მძლავრ დინებად შეერთებულნი, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემპებს ქმნიან.

შეჯიბრების ავანგარდში არიან კოლექტივები, რომლებიც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობენ, ახლა ასეთი კოლექტივები უკვე 5,5 ათასზე მეტია. ისინი მთელი სამრეწველო პროდუქციის თითქმის მესამედს და მოგების დაახლოებით 45 პროცენტს იძლევიან. ახალ პირობებში საწარმოთა მშრომელები აუმჯობესებენ სამეურნეო საქმიანობის ყველა მხარეს, აღწევენ პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს. მაგალითად, ავიღოთ შავი მეტალურგია. რეფორმამ აქ მოიცვა 66 საწარმო, რომელთა წილად მოდის მთელი დარგის საერთო პროდუქციის 38 პროცენტი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მათ დავალების დამატებით გამოუშვეს 92 ათასი ტონა თუჯი, თითქმის 170 ათასი ტონა ფოლადი და 108 ათასი ტონა ნაგლინი. რისგან შედგება ეს ციფრები? ავიღოთ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი. საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, პროფილაცია შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება — აი რამ შეუწყო კოლექტივს ხელი მნიშვნელოვნად გაედიდებინა შრომის ნაყოფიერება. საგულისხმოა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის დაახლოებით მესამედი მიღებულია მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური მომზადების ამაღლების მეოხებით. შედეგებიც შრომის შესაფერია. მაგნიტოგორსკელებმა გამოუშვეს 5,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია და თვითღირებულების შეტკირების მეოხებით დაზოგეს 2,6 მილიონი მანეთი.

ცხადია, სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ რეფორმამდე კომბინატში არა ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ მუშობა. მაგრამ ახლა ეს მისწრაფება ბევრად უფრო გაძლიერდა, კოლექტივის ყველა წევრს — მუშიდან დირექტორამდე უღვიძებს სურვილს უფრო ბეჯითად, მიზანსწრაფულად ეძებოს და აამოქმედოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ახალი შესაძლებლობანი. და ეს სავსებით კანონზომიერია, იმიტომ რომ ახალ პირობებში დიდდება მუშაკთა ეკონომიური დაინტერესება უფრო სრულად გამოიყენონ მთელი საწარმოო რესურსები, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი. ამრიგად, რეფორმა მასების შემოქმედებითი აქტივობის მძლავრი სტიმულატორია.

რეფორმის კეთილნაყოფიერი გავლენა იგრძნობა არა მარტო იმ საწარმოებში, სადაც უკვე ახლებურად მუშაობენ, არამედ იქაც, სადაც ამისათვის ემზადებიან. სავსებით ბუნებრივია საწარმოო კოლექტივების სურვილი შეკმნან ახალ პირობებში მუშაობის შემდგომი, უფრო სწრაფი წინსვლის კარგი ბაზა. მაგალითად, ნოვოკრამატორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხანაში რეფორმისათვის მზადების დროს ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, რათა გაეღიდებინათ პროდუქციის გამოშვება ძირითადი ფონდების ერთ მანეთზე, შეემცირებინათ საწარმოო დანახარჯები. ამის მეოხებით საუბილეო წელს ქარხანამ უნდა მიიღოს 3,4 მილიონი მანეთი ეკონომია. ასეთი ღონისძიებანი ხორციელდება ბევრ სხვა საწარმოშიც.

პარტია და მთავრობა დიდად ზრუნავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ ძირითადი ფონდები და საწარმოო სიმძლავრენი, აამაღლონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, შეამცირონ მატერიალური და შრომითი დანახარჯები. პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელთა როლი მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის დროს მნიშვნელოვნად დიდდება, უნდა გამონახონ მუშაობის უფრო ეფექტიანი მეთოდები, რათა უკეთ გამოიყენონ ახალი სისტემის შესაძლებლობანი ამ ამოცანების გადასაწყვეტად.

მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და სხვა მსხვილი ინდუსტრიული ცენტრების პარტიული კომიტეტები დაკვირვებით და მიზანსწრაფულად ეწევიან ეკონომიურ მუშაობას, საწარმოთა კოლექტივების მუშაობას წარმართავენ წარმოების ხელრმისეული რეზერვების მობილიზაციისათვის. საგულისხმოა გამოცდილება, რომელიც ტალინის მანქანათმშენებლო ქარხნის, კომბინატ „კრენგოლგის მანუფაქტურისა“ და ესტონეთის მთელი რიგი სხვა საწარმოების კომუნისტებმა შეიძინეს. აქ პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალიზი გაუკეთეს კოლექტივების საქმიანობას, შეკიბეს და განიხილეს მშრომელთა მრავალი წინადადება, რომლებიც მუშაობის გაუმჯობესებას ეხება. ამის საფუძველზე შედგა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ზრდის ტემპების ამაღლებას. ამავე გეგმებში შევიდა მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ხაზგასმულია, რომ ეკონომიური რეფორმის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სწორ შეხამებაზე საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობასთან, მორალურ და მატერიალურ სტიმულირებასთან. იმ დროს, როცა ფართოვდება საწარმოთა უფლებანი, მშრომელები კი უფრო აქტიურად ებმებიან წარმოების მართვაში, სამინისტროებმა და უწყებებმა საბოლოოდ უნდა თქვან უარი წვრილმან მეურვეობაზე.

ყოველი ქარხანა ბევრნაირად არის დაკავშირებული ნელლეულის, მოწყობილობის მიმწოდებლებთან, სატრანსპორტო ორგანიზაციებთან. ზოგჯერ რომელიმე ამ უბანზე წარმოიქმნება შეფერხება და საწარმოს კოლექტივი დიდი სიძნელის წინაშე დგება, ეკონომიური ზარალი მოსდის. აი, მაგალითად, რას იუწყება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. სებისკვერაძე. საალინავი საამქროს რეკონსტრუქციის შემდეგ მისი სიმძლავრე გადიდდა, საკუთარი ლითონი საამქროს აღარ ჰყოფნის. მომარაგების საკითხი კი ჯეროვნად არ არის გადაწყვეტილი, და ქარხანა მუშაობს იხე, რომ ნახევრფაბრიკატების საჭირო მარაგი არა აქვს. ეს აყოვნებს შეკვეთების შესრულებას.

„პრავდას“ მოსდის სიგნალები ადგილებიდან იმის შესახებაც, რომ ცალკეული სამინისტროები რამდენჯერმე ცვლიან დამტკიცებულ გეგმებს, თანაც ისე, რომ არ განიხილავენ ამ ცვლილებებს საწარმოებში, ჯეროვნად არ ასაბუთებენ. ყოველთვის ზუსტად როდი მუშაობს ტრანსპორტი, რაც აძნელებს მზა პროდუქციის რეალიზაციას. ასეთი ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას. მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემა მოითხოვს წარმოებისა და მართვის ყველა რგოლის მუშაობის უფრო მაღალ კლასზე გადასვლას.

საბჭოთა ადამიანები საოქტომბრო ვახტზე დგანან. დღითიდღე იზრდება მრეწველობის მუშაკთა შრომითი აქტივობა, და იმისათვის, რომ მრავლდებოდეს საწარმოო წარმატებანი, საჭიროა თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ პარტიის მიერ შემუშავებულ სამეურნეო რეფორმის პრინციპებს, ვაძლიერებდეთ ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების როლს.

იზრდება ელექტრომეჯალურგიის გიგანტი

ნიკოპოლი, 4 სექტემბერი. (ხაკდესის კორ.). კახოვკის ზღვის სანაპიროზე იზრდება საბჭოთა ელექტრომეტალურგიის გიგანტი — ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანა. დღეს სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო ფლუსადნობი წარმოების კომპლექსის მეორე რიგი.

უზარმაზარი სამრეწველო კორპუსი გაჭიმულია 250 მეტრზე. მასში მოთავსებულია დასურული ტიპის ექვსი მძლავრი რკალური ელექტროღუმელი. ყველა პროცესი — ნედლეული მასალის ჩატვირთვა იქნება ეს თუ მზა პროდუქციის გამოშვება — მექანიზებული და ავტომატიზებულია. ქარხნის პირველი აგრეგატების ამუშავებიდან წლინახევრის განძილზე, მდნობელთა კოლექტივმა აითვისა თოთხმეტი მარკის ფლუსი. მათ იყენებენ განსაკუთრებით ხალასი ფოლადის ელექტროწიდურად გადადნობისა და ელექტროსამშენებლო სამუშაოებისათვის.

საიუბილეო ვახტის დღეებში მეტალურგებმა მოაგვარეს ახალი პროდუქტის — ფეროსილიციუმკალციუმის წარმოება, რასაც სპეციალური ფოლადების განძანგვისათვის იყენებენ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მოსკოვი, 5 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დღეს აქ მუშაობა დაიწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და მსოფლიო სოციალისტური სისტემა“, რომელსაც აწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნო. კონფერენციაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის წამყვანი ეკონომისტები.

კონფერენციის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მ. რუმიანცევი.

პირველი მოხსენება „ოქტომბრის რევოლუციის ეკონომიური პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობა“ წაიკითხა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. მ. სოროკინმა.

უანგარო დახმარება

აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტმა, საბჭოთა მშვიდობის ფონდმა და სსრ კავშირის წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირმა ორდანიის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაუგზავნეს ტანსაცმელი და მედიკამენტები — საბჭოთა ხალხის საჩუქარი ორდანიელი ხალხისათვის. ეს ნივთები შეიძინეს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ შეგროვებული სახსრებით.

ელექტროგადაცემის ხაზები სოფლად

350 ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის ელექტროგადაცემის ხაზები სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისთვის აშენდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში. კიდევ ათასობით კილომეტრნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაყვანილია ცენტრალიზებულ ენერგომომარაგებაზე. ამის შედეგად სახელმწიფოს სისტემებიდან სოფლებისათვის ელექტროენერგიის გაშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა. წელს, მაგალითად, ელექტროენერგიის გაშვება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ერთი მეოთხედით და უფრო მეტად გაიზარდა.

ეს მონაცემები მოიყვანეს 4 სექტემბერს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, რომელშიც განიხილა მუშაობის მსვლელობა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში. მთავარი ყურადღება დაეთმო ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. აღინიშნა, კერძოდ, რომ მიმდინარე წლის შვიდ თვეში სამინისტროს საიჯარო ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს 20-0,4 კილოვატი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზების საექსპლოატაციოდ ჩაბარების გეგმა. უკრაინასა და ბელორუსიაში ასეთი ხაზები უფრო ნაკლებია გაყვანილი, ვიდრე საჭირო იყო. საქართველოში, აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ რაიონში, სათანადო დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი კუთვნილი ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების ექსპლოატაციის საქმეში.

კოლეგიამ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროებისა და მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებს, რაიონულ ენერგოსამმართველოებს უზრუნველყონ სოფლის ელექტროგადაცემის ხაზების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების მშენებლობისა და ამუშავების 1967 წლის გეგმებისა და დავალებების უეჭველი შესრულება. მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება დაევალათ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს მთავარ სამმართველოს. სპეციალისტთა ჯგუფს დაევალა შემოუშაოს წინადადებანი სოფლის ელექტროქსელებისა და სატრანსფორმატორო ქვესადგურების ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის. (საკდესის კორ.).

ჩვენი საუკუნის დიადი ლიტერატურა

4 სექტემბერს ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გაიღო მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის კარი. ექვერნისაგზე მოსული მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ჟურნალისტები გაეცნენ ახალ ექსპოზიციას, რომელიც მიეძღვნა ძირითადად მეოცე საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიას.

მუზეუმის თორმეტი დარბაზის სტენდებზე წარმოდგენილია ორი ათასზე მეტი ექსპონატი — ხელნაწერები, დოკუმენტები, იშვიათი გამოცემები, მწერლების პორტრეტები, წიგნები ნაჩუქრობის წარწერებით.

შესავალ დარბაზში ფეოდორ რადიშჩევის ცნობილ ნაწარმოებს „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“. ეს არის სასწაულად გადარჩენილი პირველი გამოცემის ერთ-ერთი ეგზემპლარი. აქვეა პუშკინის წიგნები, ნუსხები გრიბოედოვის კომედიისა „ვაი ჭკუისგან“, გოგოლის, ლერმონტოვის, ბელინსკის ქმნილებანი, მოწოდების ფურცლები და გერცენის „კოლოკოლი“...

მეოცე საუკუნის განყოფილება იხსნება სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის გორკის პორტრეტით, მასალებით, რომლებიც ასახავენ მის შემოქმედებას. აქვეა ბლოკის, ბრიუსოვის, მაიაკოვსკის პორტრეტები. მათი წიგნები; ჟურნალების „ოქტომბრის“, „ნოვი მირის“, „მოლოდაცხოვრება.

ექსპოზიციის დიდი განყოფილება მიეძღვნა საბჭოთა ისტორიული რომანის ჩასახვისა და მის გამოწვილ ოსტატებს. ფართოდაა ნაჩვენები საბჭოთა მწერლების ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისათვის, საბჭოთა ლიტერატურის როლი დიდ სამამულო ომში, მწერალთა ომისშემდგომი შემოქმედება. ექსპოზიცია მთავრდება უკანასკნელი წლების პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებებით.

ექსპოზიციის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. სობოლევმა. (საკდესის კორ.).

ნოვოვორონეჟის ატომური ელექტროსადგური

ერთ-ერთი უნიკალური ნაგებობაა. იგი უკვე ორი წელია მუშაობს. ელექტროსადგური დღე-დამეში რამდენიმე ასეულ გრამ ურანს წვავს.

თავისი არსებობის მანძილზე ატომურმა ელექტროსადგურმა 2,8 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა. ვორონეჟელმა ენერგეტიკოსებმა ვალდებულება იკისრეს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის სამშობლოს მიაწოდონ 1 მილიარდზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია და შინაგანი რეზერვების ანგარიშზე 2,5 პროცენტით შეამცირონ ერთი კილოვატსაათის თვითღირებულება.

ამჟამად ელექტროსადგურზე მიმდინარეობს მეორე ბლოკის მშენებლობა, რომელიც საკავშირო დამკვეთლურ მშენებლობად არის გამოცხადებული, ახალი ბლოკის სიმძლავრე 365 ათასი კილოვატსაათი იქნება, რაც პირველი ბლოკის სიმძლავრეს ერთნახევარჯერ აღემატება.

სურათზე: ნოვოვორონეჟის ატომური ელექტროსადგური.

ფოტო ვ. კოტეენიკოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).



გაზის უდიდესი საგადო

ბუნებრივი გაზის უდიდეს საბადოდ აღიარებულია იმიერპოლარეთის საბადო, რომელიც გეოლოგებმა აღმოაჩინეს ტიუმენის ოლქის ჩრდილოეთში. მისი მარაგია ერთნახევარი ტრილიონი კუბური მეტრი. ასეთი შეფასება მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგის სახელმწიფო კომისიის გასულითმა სესიამ. (საკდესის კორ.).

ტიუმენი.

მეცხემენტეთა რეკორდი

ბელგოროდის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა მიაღწია ჩვენს ქვეყანაში ცემენტის ყველაზე დიდ გამომუშავებას — წელიწადში 2.574 ტონა თითეოულ მუშაზე.

ბელგოროდელებმა უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბეს თავიანთ ვალდებულებას — საიუბილეო წელს გამოუშვათ გეგმის გადამეტებით ხუთი ათასი ტონა ცემენტი.

კოლექტივის ახალი ვალდებულება — დავალების გადამეტებით წლის დამლევამდე აწარმოონ კიდევ რამდენიმე ეშელონი მასალა — აგრეთვე წარმატებით სრულდება.

(საკდესის კორ.).

ბელგოროდი.

სურათებზე: ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის კოლმეურნეობის მოწინავე პლანტაციაში. თვითეული მათგანი ახლა ჩაის ფოთოლს ვალდებულების ანგარიშში გუდაუთის რაიონის დურიფშის კოლმეურნეობაში კრეფს „მწვანე ოქროს“.

ეჩაიეთა ნოგათი

ლანჩხუთელმა და გუდაუთელმა მეჩაიეებმა შეასრულეს ჩაის პრეფის წლიური გეგმა

ლანჩხუთი

გეგმის გადამეტებით იქნება 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი

ლანჩხუთი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის მეჩაიეებმა წარმატებით დაძლიეს ჯერ გაზაფხულის, შემდეგ ივლისის პირველეული ამინდებით გამოწვეული სიძნელეები და ვადაზე ადრე, **4 სექტემბრისათვის შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.** მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 10.700 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 10.680 ტონისა. რაიონში ჩაის ფოთლის საშალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 5.000 კილოგრამს მიაღწია. მოკრეფილი ნედლეულის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, მეჩაიეების უნარიანი მუშაობით. იქ, სადაც კარგად მოაწყეს ორგანიზატორული მუშაობა, ჩაის კრეფის წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შესრულდა. მაღალნაყოფიერად იშრომეს შუხუთის, ხიდმაღალის, ახალსოფლის, ნინოწმელის. ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობებმა. რაიონის წლიური გეგმის შესრულებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს მეჩაიეობის მსხვილმა კოლმეურნეობებმა — აცანის, მამათის, ღესის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ამ წარმატებებში თავისი წვლილი უდევს რაიონის ასობით მოწინავე მეჩაიეს. ბევრმა მათგანმა წლიური დავალება ორმაგად შეასრულა. ზემოაკეთებელმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა **ლამარა ჩხაიძემ** უკვე მოკრიფა 5.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მამათელმა ე. ჩხაიძემ — 7.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ლანჩხუთელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს სეზონის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

გუდაუთი

დიდი სიძნელეები გადალახეს გუდაუთის რაიონის მეჩაიეებმა. თავდადებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. გუდაუთელებმა 3 სექტემბრისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა — სამშობლოს მისცეს 3.310 ტონა ჩაის ფოთოლი.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში თავი ისახელა სოფელ ლიხნის კოლმეურნეობამ, რომელმაც მოკრიფა 1.013 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.010 ტონისა.

შრომითი პატაკი

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა, — წერენ „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი შ. ჯოგლიძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. რობაძიძე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ვ. ბერიძალაშვილი, — საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გაანალიზეს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულდა 106 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა — 139 პროცენტით. შესრულდა მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის სულადობის, ტყავნედლეულისა და ბეწვეულის დამზადების წლიური გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 539 ტონა კურკოვანი ხილი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 510 ტონისა.

ასპინძელმა მშრომელებმა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი სიტყვა საქმედ აქციეს. პირველ სექტემბერს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულდა 101 პროცენტით, რძისა — 119 პროცენტით, კვერცხისა — 129 პროცენტით, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. ჭიპაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ნ. მელიქიძემ.

ხელოს რაიონმა, აცნობეს „კომუნისტს“ საქართველოს კპ ხელოს რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. დავითაძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. ბერიძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ვ. იაკობაძემ,** — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შეასრულა 100.2 პროცენტით, რძისა — 116 პროცენტით, კვერცხისა — 103 პროცენტით, ტყავნედლეულის მიყიდვის წლიური გეგმა — 116 პროცენტით.

„საქართველოს აგიტატორი“ № 17

Агитатор 15

გამოვიდა „საქართველოს აგიტატორის“ (საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალი) მორიგი, მე-17 ნომერი.

ნომრის პირველი შვიდი გვერდი დათმობილი აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მეტაგანაძის სტატიას, რომელიც გადმოგებეჭდილია ჟურნალ „აგიტატორის“ № 15 ნომრიდან.

დასაწყისში ვკითხულობთ:

„ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, დიდი ოქტომბრის სახელოვანი 50 წლისთავის წინ, ყველა საბჭოთა ადამიანი იხსენებს ბრძოლისა და გამარჯვებების განვლილ გზას და კულავ აჯამებს მიღწეულისა და მოპოვებულის შედეგებს, თვალნათლივ რწმუნდება, თუ რა საოცარი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში.

ყოველივეს, რაც ოქტომბერმა მოუტანა ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხებს, ყველა ერსა და ეროვნებას, რომლებიც შეკავშირებული არიან უძლეველ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად და რომლებმაც საერთო მეცადინეობით ააშენეს სოციალიზმი, ცხადყოფს აგრეთვე საბჭოთა საქართველოს მაგალითი“.

სტატიაში მკითხველი ეცნობა, თუ როგორი იყო დიდი ოქტომბრის გამოძახილი საქართველოში, როგორ დაემხო მენშევიკების ბატონობა და გაიმარჯვა თებერვლის რევოლუციამ, როგორ გარდაიქმნა, აყვავდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში წინათ მეფის რუსეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი აგრარული განაპირა კუთხე.

სტატიაში მოთხრობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა ათასზე მეტი შესანიშნავად აღჭურვილი დიდი სამრეწველო საწარმო, რომ ფართო გაქანებით წარმოებს კაპიტალური მშენებლობა, რომ მარტო შარშან ახალი ბინები მიიღო 152 ათასმა კაცმა. არნახული ტემპებით და მასშტაბებით განვითარდა ჩვენი სოფლის მეურნეობა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგები, აყვავდა, დიდად განვითარდა მეცნიერება და კულტურა, განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა და ძმობა.

„საბჭოთა საქართველო“ — აღნიშნულია ამხანაგ ვ. პ. მეტაგანაძის სტატიაში, — იმის მაგალითია, თუ რა სწრაფად ვითარდება მოკავშირე რესპუბლიკებში საწარმოო ძალები, თანამედროვე მრეწველობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობა, იზრდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კადრები“.

დასასრულ ნათქვამია:

„ჩვენი ხალხი, მზიური საქართველოს ყველა მშრომელი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეგებება საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სახელოვანი წლისთავი აღნიშნოს ახალი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობაში“.

ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე სტატიები და წერილები: „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი“ (ვ. ვ. პოსტიშევის დაბადებიდან 80 წლისთავის გამო), გ. ნატროშვილის „ოქტომბერი და ქართული პროზა“, ვ. უნგიაძის „პარტიის იდეებით შთაგონებულნი“. აქვეა რეპორტაჟი შ. ბერიძიშვილის თემატური საღამოდან — „სოფლის ზრდის წლები“.

ჟურნალში გამოქვეყნებულია მასალები მოხსენებებისა და საუბრებისათვის: „სახელოსნოებიდან მსხვილ საწარმოებამდე“ და „ჩვენი სიმდიდრე“.

განყოფილებაში — „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებიდან“ — დაბეჭდილია ი. ლელაშვილის წერილი — „თვალსაჩინო აგიტაციის ქმედითობისათვის“.

ჟურნალის ამ ნომერს აქვს აგრეთვე განყოფილებები: „საერთაშორისო თემაზე“, „ახალი წიგნები“, „მსოფლიოს რუკასთან“. გარეკანის ერთ-ერთი ბოლო გვერდი კი დათმობილი აქვს იუმორს.

რეფორმა მოქმედებაში

„სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმების განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის თანმიმდევრულ განხორციელებას. ეს სისტემა ასახავს მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის შეცვლილ პირობებს, თანამედროვე სოციალისტური წარმოების გაზრდილ მასშტაბებს, თვისებრივ ცვლილებებს მის სტრუქტურაში და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს...“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

ეკონომიური სტიმულირების სიკეთე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავლის მძლავრი წყარო

ბასულ წელს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საგრძნობლად გაიზარდა ცალკეულ საწარმოთა მაჩვენებლები, რაც სკკპ სექტემბრის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა განაპირობეს. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, მწარმოებლის მატერიალური დაინტერესება საწარმოთა კოლექტივებს ფართო შესაძლებლობას აძლევს გამოიჩინონ მეტი ინიციატივა ახალ-ახალი რეზერვების გამოსავლენებლად, ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით გაზარდონ რენტაბელობა, შრომის მეცნიერული მეთოდების გამოყენებით კი მიაღწიონ მძლავრ ეკონომიურ აღმავლობას. პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება ბელს შეუწყობს საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებას, ეროვნული შემოსავლის გადიდებას, ეს კი გააუმჯობესებს საბჭოთა ხალხის საყოფაცხოვრებო პირობებს.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდით მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან მუშაობს. ამ უაღრესად რთული სისტემის მოსამზადებელი სამუშაოები კომბინატმა ჯერ კიდევ 1965 წლის მეორე კვარტალიდან მომზადებელთან პირდაპირი კავშირის დამყარებით დაიწყო. დაინერგა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, რომლებმაც საგრძნობლად გაზარდა პროდუქციის ხარისხი, გააუმჯობესა ასორტიმენტი, გაადიდა ნედლეულის გამოსავლიანობის პროცენტი და ა. შ. მარტო ერთმა ღონისძიებამ, 20 ახალი საქსოვი დაზგის დანერგვამ 214,0 ათასი მანეთი წლიური ეკონომია მოგვცა.

1966 წელი მთლიანად მოვახმარეთ ზენორმატიული ნაშთების ლიკვიდაციას, სამეურნეო ანგარიშის შემდგომ გაუმჯობესებას, შრომის, ნედლეულის, დამხმარე მასალების, ელექტროენერგიის, წყლის, ორთქლის ხარჯვის პროგრესიული ნორმატივების შემუშავებასა და დანერგვას.

მაგალითისათვის ასეთ ფაქტს მოვიყვანთ: 1965 წლის 1 ივლისისათვის წარმოებისათვის გამოუყენებელი დამხმარე მასალების, ქიმიკატების, სალებავების და სათადარიგო ნაწილების ზენორმატიულმა ნაშთმა 750 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო 1967 წლის 1 ივნისისათვის მხოლოდ 30 ათასი იყო.

კომბინატის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უმოძრაო ქსოვილების ზეგეგმითს ნაშთს. ასეთი ნაშთი 900 ათას მეტრზე მეტი იყო 10,1 მილიონი მანეთის ღირებულებისა. ახალი სისტემით მუშაობისას მარტო ქსოვილის ამ ნაშთზე 420 ათასი მანეთი ხაურავი უნდა გადაგვეხადა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით ნორმატიულ საშუალებათა ბრუნვის ხანგრძლივობა 34,3 დღიდან 28 დღემდე შემცირდა.

1966 წელი კოლექტივმა ცუდი მაჩვენებლებით როდი დაამთავრა (მზა ქსოვილების დამზადების გეგმა შესრულდა 102,1 პროცენტით, მივიღეთ 182 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება, 556 ათასი მანეთით შემცირდა თვითღირებულება, დაიზოგა 80 ტონა ნედლეული, 4,5 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება), მაგრამ ვიცოდით, რომ ეს მაჩვენებლები საკმარისი არ იქნებოდა დაგეგმვის ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ, რომ საჭირო იყო საწარმოო პროგრამის შკვეთრი ზრდა. ეი კომბინატის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა ბოლო წლებში:

დასახელება		1964 წ.	1966 წ.	1967 წ.
	ეროეული			
ნატურპროდუქცია	ათასი მეტრი	2700,0	2803	3400
სასაქონლო პროდუქცია	ათასი მან.	63039	68281	76000
მოგება	ათასი მან.	124,0	1295,0	2000,0
შრომის ნაყოფიერება	მან.	13994	16208	17800
მოგება 1 მეტრ ქსოვილზე	კაპ.	4,6	46,0	53,0

შენიშვნა: 1966 წ. IV კვარტალის და 1967 მოგება აღებულია ახალი საბითუმო ფასების გაუთვალისწინებლად.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კომბინატის გეგმა 1967 წელს 1964 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო 1968 წლისათვის 61 პროცენტს მიაღწევს (3.775 ათასი მეტრი).

კომბინატში დანერგილმა მუშაობის მეთოდმა — პროდუქციის მიწოდებამ პირველი მოთხოვნისთანავე — საშუალება მოგვცა მკვეთრად შეგვემცირებინა წუნი და გაგვეზარდა ხარისხის მაჩვენებელი წარმოების ყველა უბანზე. ახლა ყოველი მეორე მქსოველი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევა, ხარისხობრივ ზრდას კი, რა თქმა უნდა, თან სდევს რაოდენობრივი ზრდაც; გამომუშავების ნორმები 1965 წელთან შედარებით, 5,79 პროცენტით გაიზარდა.

ახალი სისტემის ძირითად არსს მშრომელთა მატერიალური დაინტერესება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლექტივმა დიდი შრომა გასწია დამატებითი რეზერვების გამოსავლინებლად. 1967 წლის „დაზუსტებული“ ნატურალური პროდუქციის გეგმა 4,9 პროცენტით მეტია პირველნდელზე, მოგებისა 700 ათასი მანეთით, რეალიზაციისა კი —3.805 ათასი მანეთით. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა შეგვექმნა მატერიალური წახალისების ფონდი 240-250 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო მომავალი წლის გეგმა 320-330 ათას მანეთს მოგვცემს. უკვე გვაქვს წარმოების განვითარების ფონდი 70 ათასი მანეთის რაოდენობით და წლის ბოლოსათვის ასეთსავე თანხას გამოვყოფთ ბინათმშენებლობისათვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იგრძნობა რეფორმისადმი ცივი, უნდობელი დამოკიდებულება. ამ ორი წლის წინანდელი აზრი, რომ ახალი სისტემა ავტომატურად გაადიდებს კოლექტივის მატერიალურ შემოსავალს, ზოგიერთებმა შეცვალეს სკეპტიკური აზრით: „კოლექტივისათვის სასარგებლო არ არის“. მაგრამ ზემოთმოყვანილი ფაქტები თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ მას სარგებლობის მოტანა შეუძლია სახელმწიფოსათვის, კოლექტივისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ანგარიშს. რომელიც საწარმოს საქმიანობის მანეთით კონტროლის მძლავრი იარაღია. ჩვენმა კოლექტივმა უკვე დანერგა სამეურნეო ანგარიში ყველა წარმოებაში; მთავრდება სამუშაოები ამ მიმართულებით საამქროებში, უბნებზე. ქსოვის რამდენიმე ბრიგადა-კომპლექტი ნატურის, ხარისხის, ნედლეულის, შრომის და დამხმარე მასალების ნორმატივების მიხედვით ახდენს საცდელ ანგარიშგებას. ეს სამეურნეო ანგარიშის საბოლოო რგოლია. მთავრდება სამუშაოები აღრიცხვის და დაგეგმვის კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის. მალე ჩავაბარებთ მასალათა აღრიცხვის. ხოლო წლის ბოლომდე ხელფასის დარიცხვის სამუშაოთა სრულ მექანიზაციასაც.

კომბინატში ფართოდ გაშლილია კომუნისტების ჩიქოვანის, ჯანაშვილის, ქემაშვილის, ჯალალის თაოსნობა. ბ. თევდორაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის თაოსნობა — გაადიდონ მათთვის ჩაბარებული დაზგადანადგარების ეფექტურობა ყოველ 1000 მანეთზე 60,4 მეტრით, საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ძირითადი ფონდების ეფექტურობის გადიდება უკვე მუშათა პერსონალის ზრუნვის საგნად იქცა.

ახალი სისტემა თანდათანობით შედის თავის უფლებებში. ის, რაც დღეს არის მიღწეული, ხვალისაფვის საკმარისი აღარ იქნება. ამიტომაც კოლექტივის ყველა წევრი ეძებს ახალ-ახალ რეზერვებს და ცდილობს აქედანვე ჩაუყაროს საფუძველი ძმაკაცი წლის გაზრდილ გეგმას.

გავდა ახლბური მუშაობის პირველი წლის ნახევარი. კოლექტივმა შეასრულა მასზე დაკისრებული ყველა დავალება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია: დიდია არასაწარმოო ხარჯები, ჩამოვრჩებით მანქანა-დანადგარების ნაყოფიერებაში. კიდევ აქვს ადგილი წუნის გამოშვებას და ა. შ. კომბინატისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ნედლეულის საწყობი, აუცილებელია სავენტილაციო დანადგარების მოწესრიგება. კომბინატს არა აქვს საერთო საცხოვრებლის საჭირო რაოდენობის ნახევარიც კი, ხოლო საცხოვრებელი სახლი 1954 წლის შემდეგ საერთოდ არ აგებულა.

ჩვენი აზრით, კომბინატის კოლექტივმა კარგი საფუძველი მოამზადა ახალ ეკონომიურ რეფორმას, ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის იუბილესათვის, კოლექტივის თვითეული წევრი ცდილობს შრომითი წარმატებებით უპასუხოს მას.

მ. ბაბუნაშვილი,
კომბინატის დირექტორი.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვ საამქროში დამონტაჟებული ახალი ავტომატური დაზგები კომბინატს წელიწადში 214 ათას მანეთ ეკონომიას აძლევს.

სურათზე: (მარცხნიდან) კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ს. მიქელაძე და მოწინავე მქსოველები ნ. წიკლაური და ნ. რაიბული ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ფოტო გ. გოგობერიძისა.

დავზოგოთ

დამხმარე მასალები

საქსოვი წარმოების კოლექტივმა ახალ სისტემაზე გადასვლისთვის მთავარი ყურადღება დაუთმო საწარმოო ფონდების ეფექტურ გამოყენებას, ტექნოლოგიის გაუმჯობესებას და ახალი ტექნიკის დანერგვას წარმოებაში.

ათვისებულ იქნა ახალი სისტემის სამამულო წარმოების მაღალნაყოფიერი საქსოვი დაზგები, საორფებელი და საქსელავი მანქანები. ასევე წარმოებამ ჩაატარა ძველი ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების _ მაბლონიზაცია. რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი შრომის და მანქანების ნაყოფიერების ზრდას.

სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას, როშელიც საწარმოს საერთო მაჩვენებლებით უყველა მუშის დაინტერესებს, მატერიალური სტიმულირების ფართოდ დანერგვას ითვალისწინებს. მოგებიდან სპეციალური ფონდების შექმნით, პირველი გამოხმაურა ჩვენი წარმოების ავტომატური საქსოვი საამქროს ქვეოსტატი ბ. თედორაძე, რომელმაც თავისი ბრიგადის სახელით ვალდებულება აიღო ხამი ქსოვილის გამოშვება, წინა წელთან შედარებით. ძირითადი საწარმოო ფონდის ყოველ ათას მანეთზე 60,4 მეტრით გაზარდოს და პროდუქციის ზრდილობა და დამხმარე მასალების დაზოგვით სამშობლოს მისცეს 2798 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ბრიგადამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ყველა წევრმა შეისწავლა მოწინავე მქსოველების ე. ქაბანაძის მუშაობის მეთოდები და ა. კარტაესის სამუშაო დღის რეჟიმი, დაზის უმნიშვნელო უწესივრობის გასწორება და სხვ. მიმდინარე წლის 8 თვეში ბრიგადამ დაზგა-საათზე გამომუშავება 12 პროცენტით, ხოლო გამოშეკეული პროდუქციის ხარისხი 99,5 პროცენტამდე გაზარდა. გეგმის ზევით გამოუშვა 4500 მეტრი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

წარმოებაში გაუმჯობესდა აღრიცხვიანობა გადასვლებს მიხედვით, ამჟამად ალარ არის სხვადასხვა ადგილებიდან ნართის „ჩამორჩენისა“ და დაგრეკვების შემთხვევები.

მ. ნებულიშვილი,
საქსოვი წარმოების უფროსი.



ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიის წინსვლა

ლაგეგმვის ახალი სისტემა მოითხოვს ყველა საწარმოო საშუალებების მთელი დატვირთვით გამოყენებას, ნედლეულისა და დამხმარე მასალების უყირთოან ხარჯვას, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას. შრომისა და მანქანა-დანადგარების ნაყოფიერების ზრდას, გამოშვებული ნაწარმის რენტაბელობას და მთელი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას; ყოველივე ეს ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და ზრდის მოგებას. შარშან კომბინატმა ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გასწია.

საქსოვ წარმოებაში მორალურ-ტექნიკურად გაცვეთილი ძველი მექანიკური საქსოვი მანქანები მაღალი წარმადობის 20 ახალი უმაქოო ავტომატური მანქანით შეიცვალა. ძველი საქსელავი მანქანების ნაცვლად ამავე წარმოებაში „ტექსტომა“-ს ფირმის ავტომატური მაღალი წარმადობის დანადგარები მოიტანეს, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა ხარისხი, გაზარდა შრომის ნაყოფიერება. კამვოლური ნართის წარმოებაში დაიდგა „ბეფამა“ სისტემის ორი საჭეჩი აპარატი. ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ორჯერადი ვარცხნა შემოვიღეთ.

მაუდის ნართის წარმოებაში დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა შენაზავის შემრევი ორი მექანიკური ლაბანი, რომელმაც შეცვალა ხელით შრომა და გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. გარდა ამისა, წელს მწყობრში ჩადგა ორი ახალი სამჯერადი ჩეჩვის აპარატი, რომელთა წარმადობა ძველ მანქანებთან შედარებით ორჯერ მეტია.

ძირეულად გარდაიქმნა ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და ფაბრიკატების პირველადი აღრიცხვა. შემოღებულ იქნა მკაცრი კონტროლი და ანგარიშგება ნედლეულის ხარჯვაზე, რამაც შარშან და მიმდინარე წლის ნახევარში ნედლეულის ეკონომია და ზეგეგმითი მაღალი მოგება მოგვცა.

ბოკოს სამღებრო და საკარმიდამო საამქროში წელს დამონტაჟდება მაღალი წარმადობის, წნევის ქვეშ ღებვის 2 ახალი აპარატი, რომელიც გააუმჯობესებს სინთეზური ბოკოების ღებვის ხარისხს და ხელს შეუწყობს ასორტიმენტის გამდიდრებას.

ბოლოს

ეკონომიური

ბრთველი პროფესიას კარგად დაეუფლა ელისაბედ ქავთარაძე. იგი ექვსი წელია შრომობს მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივში და ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. **სურათზე:** ე. ქავთარაძე მუშაობისას.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

გავგზარდოთ

მატერიალური

დაინტერესება

ომბინატში უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, რის შედეგადაც 1967 წლის პირველ ნახევარში ერთ მუშახელზე, 1965 წლის პირველ ნახევართან შედარებით, ხელფასი 14,8 პროცენტით გაიზარდა.

მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომაც მუშათა მატერიალური სტიმულირების გაზრდას საფუძველად დაედო წაროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი, და შედეგმაც არ დაიყოვნა.

მუშათა ნახევარზე მეტს, 25-დან 40 პროცენტამდე გაუდიდათ პრემიის დონე: კამვოლური წარმოების მგრეხავებს. მისაქსელი ნართის გადამხვიეველს, მზა ქსოვილის წუნმდებლებს, აგრეთვე ამ მრთველებსა და მქსოველებს, რომლებიც გადადებული მომსახურების ზონებზე მუშაობენ. პრემიის დონე გაეზარდა მთელ რიგ სხვა პროფესიის მუშებსაც.

შრომის ნაყოფიერების დონის დაცვის თავიდან აცილების მიზნით მაუდის წარმოების შემზადებლების ღიღიურ დავალებებს საფუძველად დაედო მანქანებზე მომუშავეთათვის ტექნიკურად დასაბუთებული გამომუშავების ნორმები. ხოლო შენახვაზე მომუშავეთათვის — საამქროს გეგმა. ამასთან მათი პრემიის მაქსიმალური დონე განისაზღვრება 30 პროცენტით.

ზემოხსენებულ ღონისძიებათა დადებითი შედეგების მიუხედავად, ამ მხრივ კომბინატში წამყვანი მნიშვნელობა ბრიგადის კომბინატის გამოცდილების დანერგვას ენიჭება. ამ მეთოდის დანერგვამ მოგვცა ის, რომ ახლა ყოველი მეორე მქსოველი უშვებს პირველი ხარისხის პროდუქციას, რაზეც წინათ ოცნებაც არ შეეძლებოდა. მაუდური ლართვის გამოშვებული პროდუქციის ხარისხი საშუალოდ 4 პროცენტით გაუმჯობესდა. ამასთან ამაღლდა შრომის ნაყოფიერებაც. ამ გზით შეიქმნა შესაძლებლობა გადაგვესინჯა გამომუშავების 122 ნორმა, საშუალოდ 7,5 პროცენტით დაგვეზოგა ხელფასის ფონდი.

მთელი რიგი პროფესიების ზუშებს, რომელთა ხელფასია ანაზღაურება აქამდე მხოლოდ პირდაპირი სანარდო სისტემის მიხედვით ხდებოდა, ახლა ხელფასი ანაზღაურებია სანარდო-პრემიალური სისტემით ეძლევათ. აქედან განისაზღვრა პრემიების შემდეგი დონე: მატყლის მრეცხაველს — 20 პროცენტამდე, მქსელავებს — 25 პროცენტამდე, ხამი ქსოვილის მწმენდავ-მნემსაველს — 15 პროცენტამდე და ა. შ.

კომბინატის კოლექტივმა უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. საყურადღებოა, რომ 1965 წლის მესამე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით კომბინატმა გაბლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა-პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა. იმავე წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით კი მოიპოვა საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, რომელიც გასულ 1966 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით კვლავ შეინარჩუნა. ეფექტი შეიქმნა აღმოჩნდა გასული წლის მეორე კვარტალი. კომბინატის კოლექტივს საბჭოთა კავშირის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაწეული სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული პირველი ადგილისათვის სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფსაბჭოს ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა. ამასთან მეორე კვარტალში მოპოვებული მაღალი ჯილდოები მესამე კვარტალის მაჩვენებლებს მიხედვით კვლავ ჩვენმა კომბინატმა შეინარჩუნა. ხოლო მეოთხე კვარტალისა და მომდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშათ და პირველი ფულადი პრემიით აღინიშნა.

მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ზრდის საფუძველს ქმნის წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, რომელიც წლიური მაჩვენებლების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა ერთდროულ პრემირებას ითვალისწინებს.

თ. ტეტუნაშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განყოფილების გამგე.

მეტი ყურადღება ნედლეულის პირველადს დამუშავებას

მატყლის პირველადი დამუშავების საწარმოს მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო კომბინატის, არამედ რესპუბლიკის შალის მრეწველობის საწარმოების მაჩვენებლობის ხარისხიც.

სწორედ ჩვენს წარმოებაში იბადება ქსოვილები, რომელთა მიმართ მკაცრ მოთხოვნილებას ყიენებს მომხმარებელი. არავისთვის დასამალი არ არის ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში მატყლის პირველადი დამუშავების წარმოებაში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა აღრიცხვის საკითხი, არასწორად იყო შერჩეული კადრები. ადგილი ჰქონდა ტექნოლოგიური რეჟიმების დარღვევას. რაზედაც ნათლად მეტყველებს შემდეგი მაჩვენებლები: 1964 წელს წარმოებას თვითღირებულებაში 70.761 მანეთის გადახარჯვა ჰქონდა, არ იყო დაცული ტაჭსატი კლასირების მიხედვით. 59.4 პროცენტის ნაცვლად ფაქტიურად იყო 58.2 პროცენტი. სხვაობა 1.2 პროცენტს შეადგენდა, ყოველივე ეს უკან სწევდა კომბინატის მაჩვენებლებს. 1965 წელს შემოღებულ იქნა ბუნტობრივი აღრიცხვა, რამაც შემდგომში ხელი შეუწყო რდგორც ორიგინალური, ისე გარეცხილი მატყლის სწორ მოძრაობას.

1966 წლის დასაწყისიდან ჩვენს კომბინატში დაიწყო მზადება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასასვლელად. ახალი ეკონომიური რეფორმა, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ ზრდას, მოგების ამაღლებას. მართალია, 1966 წელმა დაგვანახვა, რომ კომბინატი და, კერძოდ, მატყლის პირველადი დამუშავების წარმოება მზად იყო 1967 წელს გადასულიყო ახალ სისტემაზე. 1967 წლის იანვრიდან მაუდ-კამვოლის კომბინატი ახალ ეკონომიურ სისტემაზე გადავიდა. შემუშავდა ნედლეულის ხარჯვის ნორმატივები. ეკონომიური დაინტერესებისა და მატერიალური წახალისების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: შეიცვალა მატყლის დამზარისებელთა ხელფასის ანაზღაურების სისტემა. ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით პრემიების ოდენობა გაუდიდდათ ბაურეცხვი მატყლის დამზარისებლებს, მატყლის შეფუთვიელ-ჩამყრელებს, პრემია მიეცათ მატყლის მრეცხავებს. დამუშავებულია ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პრემიების დებულებები.

აღნიშნული ღონისძიებების წარმოებაში დანერგვამ მოგვცა ის, რომ თუ 1966 წლის 8 თვეში მოგება 90.000 მანეთი გვქონდა, 1967 წლის 8 თვის მოგებამ 220.000 მანეთი შეადგინა. ეს ციფრები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ახალ სისტემაზე გადასვლა.

კომბინატი წლების მანძილზე იღებდა მომხმარებელთა რეკლამაციებს, რაც გამოწვეული იყო მატყლში ფიზიკური სორსლების არსებობით. ეს საბოლოოდ აჩენდა თავს მზა ქსოვილში. წარმოების რაციონალიზატორების მიერ დანერგილ იქნა სპეციალური კონვეიერი, სადაც წარმოებს ფისანი მატყლის ამორჩევა.

დღეს მატყლის პირველადი დამუშავების მუშაკები მთელი კომბინატის კოლექტივთან ერთად გულმოდგინედ შრომობენ იღებული მაღალი სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის, რათა ღირსეულად შეხვდეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს.

მ. ყალიჩავა,
მატყლის პირველადი დამუშავების წარმოების უფროსი.

№-2 ივერდ
ოთხშაბათი,
6 სექტემბერი,
1967 წელი.
კომუნისტი

მშვიდობისა და უშიშროებისათვის

საერთაშორისო ცხოვრება

სტოკჰოლმი, 4 სექტემბერი. (საკადრო). დღეს მშვიდობას განაგრძობს XVII პაგუოშის კონფერენცია, რომელიც გუშინ გაიხსნა ორნებიოში (სამხრეთი შვედეთი). დილით გაიმართა სიმპოზიუმი თემაზე „დავიცვათ მშვიდობა და უშიშროება“, სადაც მოახსენებდა გაჯეთა გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა მ. დ. მილიონშჩიკოვმა.

ვერავინ ვერ უარყოფს უცილობელ ფაქტს — არსებობს მსოფლიო ომის საფრთხე, რომლის დროს ატომურ იარაღს გამოიყენებენ, განაცხადა მ. დ. მილიონშჩიკოვმა. მაგრამ ამ საფრთხის წინაშე არ შეიძლება სათანადოდ არ შეეფასოთო აგრეთვე ლოკალური ომების საფრთხეც.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გადაგრეთ ილაშქრებენ ლოკალური ომების წამოწყებისა და წარმოების წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მეცნიერმა, სრულ სოლიდარობას უწევენ იმ ხალხებს, რომლებიც თავს იცავენ აგრესორისაგან და აწარმოებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ამასთან დაკავშირებით მ. დ. მილიონშჩიკოვმა აღნიშნა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ომის დანაშაულებრივი ესკალაცია და არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგების აღმოფხვრის აუცილებლობა.

მთელი მსოფლიოს უშიშროების საიმედოდ უზრუნველყოფის პრობლემა მჭიდროდ დაკავშირებულია ევროპის უშიშროების უზრუნველყოფასთან, თქვა შემდეგ მ. დ. მილიონშჩიკოვმა. ამასთან დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს ატომური იარაღის გაუვრცელებლობა და კატეგორიულად გამორიცხოს რაიმე შესაძლებლობა, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი იგდოს ატომური იარაღი. ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა ჩვენს კონტინენტზე ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნა.

უატომო ზონები შეიძლება გავრცელდეს ევროპის მნიშვნელოვან ნაწილზე, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა. ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებასთან ერთად უატომო ზონების შექმნა ევროპაში, უდავოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებდა კონტინენტზე ომის წარმოშობის საფრთხეს.

მაგრამ ევროპის განიარაღების პრობლემები, აღნიშნა საბჭოთა აკადემიკოსმა, ატომური საკითხებთან რიგი ამოწურება. ევროპის უშიშროების უზრუნველსაყოფად უნდა შემცირდეს ევროპის ქვეყნებში განლაგებული შეიარაღებული ძალების რიცხვი.

სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის მ. დ. მილიონშჩიკოვმა აღნიშნა, რომ ყველა ხახელმწიფომ უნდა ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. წარმოუდგენელია ევროპის კონტინენტის მყარი უშიშროება, სანამ ყველა სახელმწიფო, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაც, არ ცნობენ ევროპის ახლანდელი საზღვრების ხელშეუხებლობას, ხაზი გაუსვა საბჭოთა აკადემიკოსმა.

ევროპის ქვეყნების უშიშროების და თანამშრომლობის საკითხები, განაცხადა დასასრულ მ. დ. მილიონშჩიკოვმა, უნდა განიხილოს სრულიად ევროპის კონფერენციამ. ჩვენი ამოცანა, პაგუოშის მოძრაობის მონაწილეთა ამოცანა ის არის, რომ ხელი შეუწყოთ ასეთი კონფერენციის მოწვევას და ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას.

ინტერვენტებს ანადგურებენ

ჰანოი, 4 სექტემბერი. (საკადესი). დღეს ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო თავდაცვის მებრძოლებმა ჩამოაგდეს სამი ამერიკული თვითმფრინავი ჰაიფონის გარეუბნის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებზე მტრის ავიაციის თავდასხმის დროს. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს დასუსტებული მონაცემებით, ჩრდილოეთ ვიეტნამის ნამპის, ფონგბინის, თხანჰოის, ნინბინის პროვინციებზე და ვინლინის რაიონზე თავდასხმის დროს ამერიკის ავიაციამ 31 აგვისტს, 1, 2 და 3 სექტემბერს, გამოცხადებულის გარდა, დაკარგა კიდევ ათი თვითმფრინავი. ვიეტნამის სახალხო არმიის სანაპირო ბატარეების არტილერისტებმა დააზიანეს ოთხი ამერიკული სამხედრო გემი.

საქაზეერო პაპარატის ნგრევა

ჰანოი, 5 სექტემბერი. (საკადესი). როგორც გაზეთი „ალ-ჰარამი“ იუწყება, დაიწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის საქმიანობის ფულდასმით გამოძიება, რომელმაც ცხადყო, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დაზვერვის აპარატი აკარებდა თავის უფლებამოსილებას. მიღებულია გადაწყვეტილება პენსიაზე გადაიყვანონ სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი სალაჰ ნასრა.

ვარშავის უნივერსიტეტი. ათასობით ქალიშვილმა და ბებუკმა მიიღო აქ უმაღლესი განათლება. ამ ახალი ინტელიგენციის დიდი არმია მძლავრი ძალაა.

ფოტო ცაფ-ხაკდესისა.

ჩვენი საქმე სამართლიანია!

ლონდონი, 4 სექტემბერი. საკადესის კორესპონდენტი ბ. ბანტინგი გვატყობინებს:

„წელს მსოფლიო ზეიმობს კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას — რუსეთის 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს“, — თქვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ინდოელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ დოქტორმა ი. მ. დადუმ კრებაზე, რომელიც 3 სექტემბერს საღამოს გაიმართა ლონდონში მისი დაბადების 58 წლის აღსანიშნავად.

„1917 წელს რუსეთის მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, — თქვა მან,—მოიშორეს კაპიტალიზმის უღელი და პირველად დაამსხვრიეს იმპერიალიზმის ბორკილები, რომელსაც ესოდენ დიდხანს ჰყავდა მონობაში მსოფლიოს ხალხები.

ოქტომბრის რევოლუცია საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვისაც. მან გზა გაუკაფა არა მარტო სოციალიზმს საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე ეროვნულ განთავისუფლებას ყველა კოლონიურ ქვეყანაში“.

„დღეს ჩვენ, სამხრეთაფრიკელები, თქვა შემდეგ ი. მ. დადუმ, — აგრეთვე აქტიურად ვებრძვით ფაშისტური ლიდერების — სმიტისა და ფორტერის და მათი იმპერიალისტი მოკავშირეების წინააღმდეგ. ახლა, ამ საღამოსაც, ჩვენი თავისუფლებისათვის მებრძოლნი მძიმე დარტყმებს აყენებენ მტერს სამხრეთ აფრიკის თეთრკანიან რასისტთა ძალების წინააღმდეგ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

იმას, რასაც რუსმა ხალხმა მიაღწია, ჩვენც შეგვიძლია მივაღწიოთ, თუ მზად ვართ ვემსახუროთ საქმეს, რომელიც გვწამს, — კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს, მზად ვართ გავიღოთ მსხვერპლი ამ საქმისათვის და თუ საჭირო იქნა, სიცოცხლეც შევწიროთ მას“.

ი. მ. დადუმ მოიწოდა მსოფლიოს ხალხებს დაეხმარონ სამხრეთაფრიკელ პატრიოტებს რასისტებისა და იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენ უკვე დავადექით თავისუფლებისათვის ბრძოლის გზას, — განაცხადა მან. — ვიცით, რომ ეს გრძელი გზა იქნება და ძნელი ბრძოლა მოგველის, მაგრამ ისიც ვიცით, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენია, რადგან ჩვენი საქმე სამართლიანია“.

საარჩევნო ფარსის წინააღმდეგ

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკადესი). ესპანელმა კომუნისტებმა მოუწოდეს ხალხს ბოიკოტი გამოუცხადოს კორტესების 102 პროკურადორის (ესპანური პარლამენტის დეპუტატები. — რედ. შენიშვნა) არჩევნებს, რომელიც ამ შემოდგომაზე გაიმართება.

გაზეთ „მუნდო ობრერის“ სარედაქციო სტატიაში, რომელიც იუწიის საგენტომ გადმოსცა, ხაზგასმულია, რომ კომუნისტები მონაწილეობას არ მიიღებენ „მთავრობის ამბინდურ თამაშში“. „102 პროკურადორის არჩევა უნდა კომედია, გასული წლის დეკემბერში მოწყობილი თაღლითური „რეფერენდუმის“ გაგრძელებაა“. არჩევნების კანონი, რომელიც კორტესებმა შეთხზეს, ნათქვამია სტატიაში, „გამორიცხავს რაიმე შესაძლებლობას, რომ აირჩევენ ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს.

„არც ერთი კომუნისტი, არც ერთი თანამგრძნობი არ მიიღებს მონაწილეობას ამ ფარსში. გარდა ამისა, კომუნისტები მოაწყობენ ფართო კამპანიას — განმარტავენ პოლიტიკურ ვითარებას, რათა დაარწმუნონ მასები, რომ უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობაზე“ — ნათქვამია დასასრულ სტატიაში.

ინგლისის ანადგურებელი

ლაგოსი, 5 სექტემბერი. (საკადესი). ნიგერიის ფედერალური მთავრობის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები გუშინ თავს დაესხნენ სამხედრო მნიშვნელობის მთელ რიგ ობიექტებს ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის ტერიტორიაზე.

ოფიციალური ცნობით, დაბომბეს ქალაქ ოვერის მშენებარე აეროდრომი, აღმოსავლეთ ოლქის მთავარი საზღვარ ნავსადგურის პორტ-ხარკორტის ნავთობსაცავები, აგრეთვე აბის რკინიგზის კვანძი.

სოლიდარობისა და ბრძოლის პროგრამა

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამის შესახებ

ჰანოი, 4 სექტემბერი. (საკადესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მხურვალედ მიესალმება და უყოყმანოდ უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკურ პროგრამას, გვატყობინებს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ამჟამად, ნათქვამია განცხადებაში, ამერიკელი იმპერიალისტები გაფაციცებით ცდილობენ გააძლიერონ აგრესიული ომი და აშკარად ახორციელებენ ჩრდილოეთ ვიეტნამზე თავდასხმების უალრესად საშიშ ესკალაციას.

სწორედ ამ ვითარებაში შეიმუშავა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა პოლიტიკური პროგრამა, რომელიც განაგრძობს და განავითარებს 10 პუნქტისაგან შემდგარ პროგრამას, ამასთან ითვალისწინებს უკვე მოპოვებულ წარმატებებს, აღფრთოვანებს ჩვენს სამხრეთელ თანამემამულეებს უფრო დიდი წარმატებებისათვის, საბოლოო გამარჯვებისათვის.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამა, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, ასახავს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის პატრიოტული ბრძოლის ახალ განვითარებას. იგი ხაზს უსვამს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ყველა ფენის ბრძოლის მიზნებს, როგორიცაა: დაამარცხონ ამერიკელი აგრესორები და მათი დამჭაბები, აიშენონ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობიანი, ნეიტრალური და აყვავებული სამხრეთ ვიეტნამი და დაადგნენ სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანების გზას. ასეთია 14 მილიონი სამხრეთვიეტნამელის კანონიერი მისწრაფებანი.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამა სოლიდარობისა და ბრძოლისათვის მოუწოდებს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობას. ეს მოწოდება გაიხმა ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნინა ხაზიდან, ეს არის მოწოდება მთელი მსოფლიოსადმი, მოწოდება, რომლის შედეგად ამ ბრძოლას უფრო ფართოდ და მძლავრად დაუჭერენ მხარს და მოიწონებენ ძმები და მეგობრები ხუთივე კონტინენტზე.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკურმა პროგრამამ კიდევ უფრო ცხადყო, რომ განთავისუფლების ეროვნული ფრონტი სამხრეთ ვიეტნამის გმირი მოსახლეობის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია, რომელიც იმარჯვებს და აუცილებლად გაიმარჯვებს ამერიკელ იმპერიალისტებსა და აგრესორებზე და მათ დამჭაბებზე.

განცხადების დასასრულს ხაზგასმით აღნიშნულია, რომ 17 მილიონი ჩრდილოეთვიეტნამელი და მათი შეიარაღებული ძალები ყოსრულობენ ვალდებულებას უფრო მჭიდროდ დაუკავშირდნენ სამხრეთელ ძმებსა და დებს და ყოველთვის მათ მხარეზე იყვნენ.

ტრაგიკული შეცდომა

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. (საკადესი). მიჩიგანის შტატის გუბერნატორმა ჯორჯ რომნიმ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია რესპუბლიკური პარტიისაგან, დეტროიტის ტელევიზიის ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა ვიეტნამში „ტრაგიკული შეცდომაა“.

სულაც არ იყო საჭირო ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ვიეტნამში. ვიეტნამის კონფლიქტი შეერთებულმა შტატებმა შექმნეს, ხაზი გაუსვა რომნიმ.

რომნიმ განაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების წინააღმდეგია. ვიეტნამში ვერ გავიმარჯვებთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის შედეგად. ამერიკის ავიაციის თავდასხმებს მშვიდობიანი მოლაპარაკება ვერ მოჰყვება.

მდგომარეობა ნიგერიაში

ლაგოსი, 5 სექტემბერი. (საკადესი). ნიგერიის ფედერალური მთავრობის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები გუშინ თავს დაესხნენ სამხედრო მნიშვნელობის მთელ რიგ ობიექტებს ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის ტერიტორიაზე.

ოფიციალური ცნობით, დაბომბეს ქალაქ ოვერის მშენებარე აეროდრომი, აღმოსავლეთ ოლქის მთავარი საზღვარ ნავსადგურის პორტ-ხარკორტის ნავთობსაცავები, აგრეთვე აბის რკინიგზის კვანძი.

ინგლისელ ტაბუნაგოლოგთა ექსპედიცია

ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკადესი). როგორც კაიროს რადიო იუწყება, დღეს სუეცის არხის ზონაში მოხდა შეტაკება ისრაელსა და ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს შორის. ადგილობრივ ცნობით, ისრაელმა აგრესორებმა, რომლებიც ცდილობდნენ სამხედრო კატერი, ლაშქარი და ბეტონირი გაეყვანათ სუეცის არხში, ცეცხლი დაუშინეს ეგვიპტის პოზიციებს სუეცის პორტ-ტაუფიკში. ეგვიპტის ჯარებმა ცეცხლითვე უპასუხეს.

კაირო, 4 სექტემბერი. (საკადესი). მეენის საგაგნტო. რომელიც ომიშნავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობის წარმომადგენლის განცხადებას, იუწყება, რომ დღეს ნაშუადღის კვლავ ატყდა სროლა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის შეიარაღებულ ძალებს შორის ქალაქ სუეცის რაიონში. განცხადებაში ნათქვამია, რომ ისრაელებმა ტანკების- და ნაღმსატყორცნების ცეცხლი დაუშინეს ეგვიპტის ჯარების პოზიციებს. ეგვიპტის არტილერიამ ამ სატასუხო ცეცხლით მოიგერია ისრაელები.

19 საათსა და 15 წუთზე სროლა შეწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მოთხოვნით.

ისრაელის პროვოკაციის მსხვერპლნი

კაირო, 5 სექტემბერი. (საკადესი). ისრაელმა აგრესორებმა ეგვიპტის პოზიციებს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს. ამის შედეგად, გუშინ სუეცის რაიონში დაიხოცა 8 კაცი და დაიჭრა 35, დაზიანდა საავადმყოფოს შენობა. დაინგრა რამდენიმე სახლი. ისრაელის არტილერიის ცეცხლმა დაზიანა ტაუფიკის ნავსადგურში მყოფი საბერძნეთისა და ინდოეთის სავაჭრო გემები. ეს აღნიშნულია მენის საინფორმაციო სააგენტოს კომუნიკეში.

ზანგთა უბნებში ბოლქვარიბაა

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ გვიან ღამით პოლიციელმა ბრუკლინში პისტოლეტით მოკლა 14 წლის ზანგი ბიჭი. ეს ცნობა ელვისებურად გავრცელდა ბრუკლინის ზანგთა უბნებში. 200-ზე მეტი ზანგი გამოვიდა ნიუ-იორკის ამ რაიონის ქუჩებში, რომ პროტესტი განეცხადებინა პოლიციის თვითნებური მოქმედების წინააღმდეგ. მოხდა ზანგების შეტაკება პოლიციასთან, გაჩნდა ხანძარი. ბევრი დააპატიმრეს.

მერვე დღეა მილოუოკში გრძელდება ქალაქის ზანგი მოსახლეობის დემონსტრაციები, რომლებიც მოითხოვენ რასობრივი დისკრიმინაციის შეწყვეტას ბინების დაქირავების დროს. როგორც ცნობებიდან ჩანს, საპროტესტო მოძრაობა მილოუოკში მატულობს.

ნათელი გზა

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად. ამ დიად იუბილეს არაერთი წიგნი, ბროშურა და სტატია მიუძღვნეს ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა, ხელოვნების მუშაკებმა, წარმოების ნოვატორებმა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის **ნ. ი. სტურუას** ბროშურა — **„საბჭოთა საქართველო ოქტომბრის 50 წლისთავისათვის“**, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერებამ რუსულ ენაზე გამოსცა.

ბროშურის **პირველი ნაწილი** მიძღვნილია საქართველოს მშრომელთა იმ ბრძოლებისადმი, რომლებიც მათ ბოლშევიკების მეთაურობით გასწიეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ავტორი აღნიშნავს, რომ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტების კარნახით ქართველმა მენშევიკებმა, სოციალისტებმა და აზერბაიჯანელმა მუსავატისტებმა მრავალი კონტრრევოლუციური ღონისძიება განახორციელეს. იმპერიალიზმის ამ აგენტებმა თავიანთი ეროვნული არმიების შესაიარაღებლად მეხანათურად ამოძოცეს ქვეყნის ფონტიდან საბჭოთა რუსეთში მიმავალი რევოლუციურად განწყობილი არმიის ეშელონები სადგურ შამურთან, თბილისში დახურეს და დაარბიეს ბოლშევიკური გაზეთების („ალეკსანდრე რაბოჩი“, „ბრძოლა“, „ბანერი კრივ“) რედაქციები; 1918 წლის 10 თებერვალს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში დაბეგვრიტეს მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი; საქართველოს მიწშევიკურმა მთავრობამ თავისი „დამოუკიდებლობის დასაცავად“ ჯერ თურქი და გერმანელი, ხოლო შემდეგ ინგლისელი იმპერიალისტები და მათი ჯარები მოიწვია საქართველოში.

ამიტომაც იყო, რომ საქართველოს რაიონებში ხან აქ, ხან იქ იფეთქებდა შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

1921 წლის 11 თებერვალს ბორჩალოს მაზრაში დაიწყო შრომელთა შეიარაღებული აჯანყება, რომელიც თანდათანობით მთელი საქართველო მოიცვა. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ა. გეგეჭკორი, ვ. კვირკელია, ფ. მახარაძე, ა. ნაზარეტიანი, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა და სხვ. საქართველოს რევკომმა თხოვნით მიმართა საბჭოთა მთავრობის მეთაურს ვ. ი. ლენინს, რათა აჯანყებულ საქართველოს დახმარებოდა წითელი არმია, რადგან მენშევიკური საქართველო დასავლეთის იმპერიალისტური არმიები. საბჭოთა მთავრობამ დახმარება არ დაიყოვნა, 1921 წლის 25 თებერვალს მე-11 არმიის ნაწილებმა და საქართველოს აჯანყებლებმა მშრომელებმა თბილისი გაათავისუფლეს და საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ერთი თვის განმავლობაში

ნიგნები საბჭოთა საქართველოზე

რებაში დიდი წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნენ ლენინის ორდენებით.

20 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოში აშენდა 815 მსხვილი სამრეწველო საწარმო და 5 ჰიდროელექტროსადგური. საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქცია 1940 წლისათვის 10,2-ჯერ გაიზარდა ომამდელთან შედარებით, ხოლო მსხვილი მრეწველობის პროდუქცია — 26,9-ჯერ. შეიქმნა დიდი ინდუსტრიული ბაზა. ქართველმა მებრძოლებმა თავი ისახელეს ფრონტის ყველა უბანზე. სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში გმირული სიკვდილით დაეცა ჩვენი რესპუბლიკის 300 ათასზე მეტი მებრძოლი.

ნაშრომის **მეოთხე ნაწილი** შეეხება საკითხს: „საქართველო სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების წლებში (1945 1958 წწ.)“. ომისშემდგომ წლებში საქართველოს მშრომელები ისეთივე მაღალი პატრიოტული შემართებით იბრძოდნენ სამეურნეო ამოცანების შესრულებისათვის, როგორც სამამულო ომში, სამშობლოს დასაცავად. სასახელო შრომისათვის 1946-1959 წლებში სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია საქართველოს 58.779 მოწინავე მუშაკი, რომელთაგან 1.135 მუშამ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო, მათ შორის სამმა მეორედ მოიპოვა ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ (მეთაობაჩოკი პ. ნ. სეანიძე, მეჩაე ტ. ა. ყიფონია და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მ. როგავა).

ომისშემდგომ წლებში ჩაეწინა ქვეყანამ განსაორციელა სახალხო მეურნეობის გაფართოებული მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ხუთწლიანი გეგმები. რომლებითაც დაამთავრა სოციალიზმის მშენებლობა და სამოლოოდ მოამზადა პირობები კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისათვის.

ბროშურის **უკანასკნელ თავში** აღწერილია „საქართველოს მშრომელების მოდავშრობა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში (1959-1967 წწ.)“. ამ პერიოდში ჩვენი ხალხის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის გაფართოების შეიდწლიანი გეგმის განხორციელება.

ბოლოს ავტორი მოგვითხრობს საქართველოს მშრომელების ახალ დიდ წარმატებებზე, რომლებიც მოპოვებულია ოკანასკნელ წლებში, რისთვისაც რესპუბლიკამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა, ამ დიდი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1965 წლის დეკემბერში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოდა.

ბროშურა მთავრდება იმ დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებების დასასათებით, რომლითაც მოკავლია მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენი რესპუბლიკა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში.

ნ. სტურუას ბროშურა დიდ დახმარებას გაუწევს პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მრავალათასიან არმიას საბჭოთა საქართველოს დიად წარმატებათა პოპულარიზაციის საქმეში.

სასურველია, იგი ქართულადაც გამოიცეს.

დ. ჯიბლაძე.

ნ. ი. სტურუა — საბჭოთა საქართველო ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ბროშურა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება საქართველოში“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოუშვა ბროშურა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება საქართველოში“. ბროშურის ავტორია სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ნ. ჯიბლაძე.

ბროშურა აშუქებს, თუ როგორ ვითარდებოდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში საშუალო და უმაღლესი განათლება. მასში მოყვანილია დამაჯერებელი ციფრები, ფაქტები, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავენ რეპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა წარმატებებს, რითაც ისინი ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. (საკადესი).

ნიგნები საბჭოთა საქართველოზე

ბროშურა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება საქართველოში“

ინტერვენტებს ანადგურებენ

ინგლისელ ტაბუნაგოლოგთა ექსპედიცია

ისრაელის პროვოკაციის მსხვერპლნი

ზანგთა უბნებში ბოლქვარიბაა

ნიგნები საბჭოთა საქართველოზე

ბროშურა „უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება საქართველოში“

ინტერვენტებს ანადგურებენ

ინგლისელ ტაბუნაგოლოგთა ექსპედიცია

ისრაელის პროვოკაციის მსხვერპლნი

ზანგთა უბნებში ბოლქვარიბაა

ჩვენს ყალე-ჭყალეში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქდესის კორესპონდენტები

მწყემსებთან, იალაღებზე

ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადები მთათუშეთის იალაღებზე ატარებენ ზაფხულს. მეცხვარეთა ხშირი სტუმრები არიან კულტურის მუშაკები, აგიტატორები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები.

საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის ინიციატივით ამ დღეებში მწყემსებს რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა ესტუმრა. საკონცერტო პროგრამაში იყო სიმღერები, ცეკვები, სკეტჩები, მხატვრული კითხვა და სხვ.

აგიტმხატვრული ბრიგადის წევრებმა 4 დღის განმავლობაში კონცერტები გამართეს ომალოში, შენაქოში, დიკლოსა და სხვა სოფლებში. გარდა ამისა, მწყემსებს უჩვენეს მხატვრული კინოფილმები — „დაკარგული სასიძო“, და „მათ მხოლოდ სახით იცნობდნენ“. ბოლო დღეს კი მათ „თორღვას აბანოს“ დამსვენებლებთან კიდევ ერთი კონცერტი გამართეს.

შ. ბერიძიშვილი.

ᲛᲔᲓᲚᲝᲒᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲝᲕᲔᲑᲡ

თელავი. (საკ. კორ.). შეიძლება გეუცნაუროთ კიდეც ეს გამოთქმა. ეს იგივეა, რომ ვთქვათ „თბილისელი მეცხვარე“, ან „მოსკოველი მევენახე“ ანდა „ლენინგრადელი მეთამბაქოე“. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის (დირექტორი ა. ალადაშვილი) 70-მა სტუდენტმა ოჩამჩირის რაიონის მოქცის საბჭოთა მეურნეობაში სახელი გაითქვა არა როგორც უბრალოდ მეჩაიემ, არამედ როგორც წარჩინებულმა მეჩაიემ.

ავდარსა და თქეშში სტუდენტებმა 420 ცენტნერის მაგიერ სამმობლოს 505 ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლი მისცეს. განსაკუთრებით იმარჯვა მექანიზაციის განყოფილების მეორეკურსელმა ა. ალხანაშვილმა. ქიზიყელმა ბიჭმა 1.200 კილოგრამი ჩაი მიუწონა მიმღებ პუნქტს.

ამ დღეებში თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სახელზე მოქვის საბჭოთა მეურნეობიდან სასახარულო ბარათი მოვიდა. ოჩამჩირელი მეჩაიეები ძმური დახმარებისათვის გულითად მადლობას უძღვნიან თელაველ „მეჩაიეებს“.

„ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘ“



ᲐᲡᲔᲗᲘ სათაურით ცნობილში სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოუშვა წიგნი, რომელიც ასახავს სამხრეთ ოსეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის წარმატებებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. მკითხველი თვალნათლივ ეცნობა სამხრეთ ოსეთის შრომელების დიდ შრომას მშობლიური კუთხის აღორძინებისა და აყვავებისათვის. (საკ. კორ.).

ᲡᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა შ. დადიანის სამმოქმედებიანი დრამა „გეგეჭკორი“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნით პ. თოდაძესა და ნ. ჯოთაძეს. მხატვრობა — ზ. ჯორჯაძის, მუსიკალური გაფორმება — გ. ჭიჭინაძეს.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებლებს უჩვენა ა. ცაგარლის ისტორიული დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ“. სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ბ. მაკარაძეს, მუსიკა — ო. მაშავარიანს.

ვ. კუტალაძე.

ᲠᲘᲬᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲓ

ᲘᲡᲐᲠᲑᲔᲒᲚᲔᲑᲘ რა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლით, აბაშის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა 30 კაცის შემადგენლობით მოაწყეს ექსკურსია აფხაზეთის მშვენება რიწაში. აქ რიწის ტბაზე გაისეირნეს მოტორიანი ნავებით, დატკბნენ ლამაზი — წარმტაცი ბუნებით, შაბათ საღამო გაატარეს სასტუმრო „რიწაში“. მეორე დილით გამოეგზავრნენ უკან. ახალ ათონში მთელი კვირადღე გაატარეს ზღვის სანაპიროზე; დაათვალიერეს სოხუმის ბოტანიკური ბაღი, ზოოლოგიური პარკი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

ქარხნის მოწინავე მუშები ო. ღაღანიძე, კ. ხოშტარია, რ. მიმინოშვილი, ბ. მესხი, ჯ. გიგინეიშვილი, მ. გაბუნია, მ. ლოხოვა და სხვები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ორდღიანი დასვენების სიკეთით. საიუბილეო შრომითს ვახტზე ისინი დღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ვ. ᲪᲝᲛᲐᲘᲐ.

ᲛᲝᲒᲬᲘᲜᲗ? ᲛᲘᲜᲡᲙᲘᲡᲐᲐ!

1968 წლის პირველ ნახევარში მინსკის რადიოქარხანა დაიწყებს „ჰორიზონტის“ მარკის ტელევიზორების გამოშვებას. ტელევიზორის ზომა დიაგონალზე 59 სანტიმეტრი იქნება. ეს თანამედროვე ტელემიმღები გაფორმების რამდენიმე ვარიანტით იქნება დამზადებული. საწარმოს კიდევ ერთი სიახლეა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ბრტყელი ტრანზისტორული რადიომიმღები „ეტიუდი“.

მინსკის რადიოქარხანა თექვსმეტი წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში აქ გამოშვებულია თექვსმეტი ტიპის რადიოლები და მიმღებები, რვა მარკის ტელევიზორები. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

სურათებზე: ზემოთ — ტელევიზორების თერმოშემოწმების კონვეიერი მინსკის რადიოქარხანაში. ქვემოთ — ტრანზისტორული რადიომიმღები „ეტიუდი“, რომელიც სერიულად გამოშვებისათვის მოამზადა მინსკის რადიოქარხანამ. მისი სისქე 24,5 მილიმეტრია.

ფოტო ი. ივანოვისა. (ახალი ამბების სააგენტო).



Ა. ᲙᲐᲙᲐᲣᲠᲘᲫᲔ

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი სკკპ წევრი 1917 წლის მარტიდან, პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე დავითის-ძე კაკაურიძე.

ა. კაკაურიძე დაიბადა 1890 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ ბესიაურში ღარიბი გლეხის ოჯახში.

1912-1913 წლებში ა. კაკაურიძე მუშაობდა ჭიათურის მაღაროს მუშად და მონაწილეობდა გაფიცვებში.

1918 წელს იყო ხ. გეგეჭკორის რაზმში და იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. 1921-1922 წელს ცხუნკურის თემის რევკომის თავმჯდომარე იყო.

ა. კაკაურიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კოლმეურნეობას ხელმძღვანეულობდა როგორც მისი გამგეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში და სამამულო ომში აქტიური მონაწილეობისათვის მიღებული აქვნდა მთავრობის ჯილდოები. ა. დ. კაკაურიძე ყველა დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად, კომუნისტისათვის ჩვეული ენერგიით ასრულებდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

1950 წლიდან ა. კაკაურიძე პერსონალური პენსიონერი იყო, მაგრამ მაინც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

რევოლუციონერის, გულისხმიერი, შრომისმოყვარე, პრინციპული და თავმდაბალი ამხანაგის ა. კაკაურიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ: ᲩᲐᲠᲗᲔᲗ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲒᲣᲚᲘ“!

სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა კონსტანტინე მრისოვამ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ორი წლის წინათ თქვა: „უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ძალიან ბევრი რამ კეთდება გულის დაავადებათა მკურნალობის დარგში. დამეწყმუნეთ, შორს არ არის ის დღე, როცა ადამიანები იცოცხლებენ ხელოვნური გულით და გარკვეული დროის შემდეგ ექიმს მიაკითხავენ მხოლოდ იმისათვის, რომ ახალი გული ჩაუდგან ან შეუკეთონ“...

ეს საუბარი ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა 1965 წლის 26 მარტის ნომერში სათაურით — „ხელოვნური გული“ გულის მაგიერ“. მაშინ მხცოვან აკადემიკოსს ვთხოვეთ კომენტარი გაკეთებინა ჩვენი თანამემამულის, მაშინ ბირმაში მოიშუშავე ქირურგის ბრიგოლ ფირცხალავას მიერ გაკეთებული „ხელოვნური გულის“ თაობაზე, რომლის შესახებაც პირველ გვერდზე იუწყებოდა რანგუნის გაზეთი „ვორკინგ პიპლზ დეილი“.

კ. ერისთავმა განაგრძო: „...გრიგოლ ფირცხალავას აპარატს გულის ოპერაციის დროს იყენებენ. ამ პერიოდში იგი მთლიანად ცვლის გულს. „ხელოვნური გულის“ აპარატი ასრულებს გულის ფუნქციას. ეს არის პორტატული აპარატი, რომელშიც ხდება სისხლის მიმოქცევა და ჟანგბადით გაჯერება, ესე იგი ის პროცესი, რაც ფილტვებსა და გულში მიმდინარეობს ნორმალურ პირობებში... გულის ქირურგია ახლა აღმავლობის გზაზეა. საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოში, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ამ დარგში. სისხლის მიწოდების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ხოლო „ხელოვნური გული“ ისეთი აპარატია, რომის გამოყენებით თავისუფლად შეიძლება მთლიანად გამოვთიშოთ გული ოპერაციის დროს და „ხელოვნური გული“ ჩაერთოთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამემამულის აპარატი ფართო მოხმარებას ჰპოვებს სამედიცინო პრაქტიკაში“.

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით გრიგოლ ფირცხალავას მიერ შექმნილ „ხელოვნური გულის“ აპარატს, ახლა კი ინტერესს მოკლებული არ იქნება გავიცნოთ, თუ რა კეთდება, ან რა გაკეთდა ამ მხრივ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ᲘᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ადამიანი ყოველთვის ძიებაშია და ზოგჯერ მის ძიებასა და გამარჯვებას შორის საუკუნეები გავიცნოთ, თუ რა ეკეთდება, ან რა გაკეთდა ამ მხრივ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ᲘᲛᲗᲐᲕᲘᲗᲕᲔ ადამიანი ყოველთვის ძიებაშია და ზოგჯერ მის ძიებასა და გამარჯვებას შორის საუკუნეები გავიცნოთ. ერთი ხელის დაკვრით ბუნებას ვერაფერს გამოსტაცებ. უნდა დგროვდეს ცოდნა, ტექნიკური საშუალებანი, რომ ვუღალატინეთ ამოხეთქოს წარმატებამ. ადამიანი დასაბამიდან ებრძოდა სიკვდილს და ნელა, ეუნ ნაბიჯებით მიდიოდა წინ ავადმყოფობასა და სიკვდილთან ჭიდილში. უკანასკნელ ას წელიწადში მან განსაკვირებელ შედეგებს მიაღწია, მაგრამ ბრძოლა გრძელდება. დღეს. მსოფლიო მედიცინის წინაშე ორი უდიდესი და ურთულესი პრობლემა დგას — კიბო და გულის დაავადებანი. მეოცე საუკუნე, ტექნიკის, ქიმიისა და ატომის საუკუნე, მეორე ნახევარში ამ საკითხის წინაშე დგას და ეჭვი არ არის, რომ გაიმარჯვებს, მაგრამ როდის? მილიონობით სიცოცხლე მიაქვს ყოველდღიურად ამ დაავადებებს. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში პარალელური მუშაობა მიმდინარეობს. მედიცინის საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთა განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკის ყველა მიღწევა, დაუღალავად შრომობენ, ეძებენ და სხვადასხვა გზებით ნელა, მაგრამ დაბეჯითებით უახლოვდებიან მიზანს.

გულის ოპერაციას უკვე დიდი ხანია აკეთებენ ქირურგები და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ გულის შემცვლელი აპარატის წარმოქმნის იდეა და, რაც მთავარია, მისი განხორციელების საშუალება არც თუ ისე დიდი ხნის წინათ გახდა შესაძლებელი.

„ხელოვნური გულის“ გაკეთების იდეა ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერს მოსკოველ პროფესორს ვ. დემიხოვს. მან პირველმა მსოფლიოში (1938 წ.) დაამზადა „ხელოვნური გულის“ აპარატი და სამი ცდა ჩაატარა ძაღლებზე. ბოლო ცდა წარმატებით აღინიშნა. ხელოვნურმა გულმა 2 საათი და 30 წუთი იმუშავა.

1959 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა ჰაუსტონმა, აპშუმ, კოლშმა სანტ-ლუისში დაამზადეს ხელოვნური გულის საბუშაო მაკეტი. ჩაატარეს ცდები. ერთ-ერთი ცდისას „გულმა“ 5 საათი იმუშავა. ორი წლის შემდეგ ამავე მკვლევარებმა, აპარატის გაუმჯობესების შემდეგ, კვლავ ჩაატარეს ცდები. ამჯერად ორგანიზმის სიცოცხლე 14 საათის განმავლობაში იყო შენარჩუნებული.

პარალელურად და დამოუკიდებლად ცდები ჩაატარა ტოკიოს უნივერსიტეტში კიმპტო სენძიმ, საუკეთესო შედეგი 13 საათი იყო.

1963 წელს ცნობილმა ამერიკელმა ქირურგმა მ. დე ბეკიმ ქ. ჰაუსტონის (ტეხასი) მეთოდისტურ ჰოსპიტალში პირველმა მსოფლიოში გააკეთა ოპერაცია ადამიანზე „ხელოვნური გულით“. მისი პაციენტი იყო 42 წლის ზანგი მამაკაცი, რომელსაც ჰქონდა გულის დეკომპენსირებული დაავადება და აორტის სარქველის შევიწროება თანმხლები დაავადებით — თირკმლის ჩირქოვანი დაავადება. დებეგმა ავადმყოფს ჩაუდგა შარკანენი „ხელოვნური გული“ და ავადმყოფმა 4 დღე იცოცხლა. შემდეგ იგი გარდაიცვალა თირკმლის უმძარისებით.

სამი წლის შემდეგ დე ბეკიმ კვლავ გააკეთა ოპერაცია „ხელოვნური გულით“. პაციენტი ამჯერად 65 წლის მამაკაცი იყო, რომელსაც აორტალური სარქველის შევიწროება და გულის კუნთების ღრმა დეგენერაციული ცვლილებები ჰქონდა. ისევ მარცხენა გული იყო გამოთიშული. პაციენტმა 124 საათი იცოცხლა და გარდაიცვალა თავის ტვინისა და ფილტვების შეშუპებით. ერთი თვის შემდეგ დე ბეკიმ „ხელოვნური გული“ ჩაუდგა 61 წლის ავადმყოფს მიტრალური სარქველის სტენოზითა და მიოკარდიოდისტროფიის დიაგნოზით. ჩადგმული გული დაუბრკოლებლად მუშაობდა. 27 საათის შემდეგ ავადმყოფი გარდაიცვალა გულმკერდის ღრუდან სისხლის დენით, რომლის შეჩერება ვერ მოხერხდა.

1966 წლის 13 აგვისტოს დე ბეკიმ „ხელოვნური გული“ ჩაუდგა 37 წლის მექსიკელ ქალს, რომლის დიაგნოზი იყო — გულის კუნთის დაავადება, მიოკარდიოდისტროფია და ინფარქტი. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდა, სისხლის მიმოქცევა ნორმალური იყო, პულსი შეეფერებოდა „ხელოვნური გულის“ მუშაობას. სამი დღის შემდეგ ავადმყოფი ადგა საწოლიდან, ესაუბრა ნაცნობებს, ნათესავებს, ექიმებს, უყურებდა ტელევიზორს და კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს. ათი დღის შემდეგ, როდესაც აღსდგა ქალის გულის კუნთის სრული ფუნქცია, „ხელოვნური გული“ ამოღებულ იქნა. ეს „ხელოვნური გულით“ მსოფლიოში პირველი ოპერაციაა, რომელმაც დადებითი შედეგი მოგვიღო.

1959 წელს გრიგოლ ფირცხალავამ, მაშინ ექიმმა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის ასპირანტმა, დაიწყო „ხელოვნური გულის“ შექმნაზე მუშაობა. ერთი წლის შემდეგ ოთხკამერიანი ხელოვნური გულის საბუშაო მაკეტი წარადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო განყოფილების სხდომაზე. იდეა მოიწონეს და აკადემიკოს კ. ერისთავს ხელმძღვანელობა სთხოვეს. ამავე წელს გ. ფირცხალავამ შექმნა უკვე ორკამერიანი „ხელოვნური გულის“ მაკეტი გოფრირებული კედლებით. გამოცდა მოეწყო სითხესა და სისხლზე. მუშაობის პროცესში მოხდა ერითროციტების დაშლა (ჰემოლიზი), საჭირო გახდა ახალი კონსტრუქციის დამზადება.

1961 წელს გრიგოლ ფირცხალავამ დაამზადა „მექანიკური გულის“ ახალი მაკეტი — ორკამერიანი სადა ზედაპირებით, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინრების ძმები ივანოვიანის დახმარებით. „ხელოვნური გულით“ ექსპერიმენტები ცხოველზე მოაწყო 1962 წელს ჯერ კ. ერისთავმა, შემდეგ პროფესორმა გ. იოსელიანმა. პირველ შემთხვევაში ძაღლი დაიღუპა ფილტვის არტერიიდან სისხლის დენით, მეორე შემთხვევაში კი აორტიდან სისხლის დენით (თითქმის ერთი საათის შემდეგ). ექსპერიმენტების შედეგად გ. ფირცხალავა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხელოვნური გულის ძრავი არასაკმარისი ძალისა იყო და საჭირო იყო მისი გაძლიერება.

1963 წელს გ. ფირცხალავას უკვე ჩადგმული ჰქონდა ახალი ხელოვნური გული, რომლითაც 28 ექსპერიმენტი ჩატარა ცხოველებზე. თორმეტ შემთხვევაში გამოთიშული იქნა მარცხენა გული, ათ შემთხვევაში — მარჯვენა და ექვს შემთხვევაში მთლიანად გული. შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო.

ერთი წლის შემდეგ გ. ფირცხალავა ხელშეკრულებით ბირმაში გაემგზავრა, სადაც სსრ კავშირის მიერ აგებულ პოსპიტალში მუშაობდა ქირურგად და თავადვე კონსულტანტად. ამავე დროს იგი განაგრძობდა „მექანიკური გულის“ სრულყოფას.

1965 წელს რანგუნში მან თავისი „გული“ ბირმის ექიმთა კონფერენციაზე წარადგინა. ქართველი მეცნიერის ექსპერიმენტებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ცენტრალურმა გაზეთებმა კი ამ ამბავს ვრცელი სტატიები მიუძღვნეს. გ. ფირცხალავამ ბირმაში ყოფნისას 22 ექსპერიმენტი ჩაატარა და დადებითი შედეგები მიიღო. აქვე დაამზადა მან „ხელოვნური გული და ფილტვი“ რეგიონალური პერფუზიისათვის და მისი გამოყენებით 1966 წლის 22 სექტემბერს ოპერაცია გაუკეთა ავადმყოფს, რომელსაც მარჯვენა ბარძაყის ქვემო მესამედის ოსტეოსარკომა ჰქონდა. ოპერაციის დროს, 1,5 საათის განმავლობაში ავადმყოფის კიდურის ქსოვილები არ განიცდიდნენ ჟანგბადის უკმარობას, ვინაიდან „ხელოვნური გული და ფილტვი“ რეგიონალური პერფუზიისათვის და მისი გამოყენებით 1966 წლის 22 სექტემბერს ოპერაცია გაუკეთა ავადმყოფს, რომელსაც მარჯვენა ბარძაყის ქვემო მესამედის ოსტეოსარკომა ჰქონდა. ოპერაციის დროს, 1,5 საათის განმავლობაში ავადმყოფის კიდურის ქსოვილები არ განიცდიდნენ ჟანგბადის უკმარობას, ვინაიდან „ხელოვნური გული და ფილტვი“ თავს ფუნქციას შესანიშნავად ასრულებდა. ოპერაციის მიდამოში, მისი ქვემო ნაწილი ნამდვილი გულისა და ფილტვისაგან იზოლირებული იყო. აპარატი, რომელიც შედგება დისკური ოქსიგენატორისა და ხელოვნური გულისაგან, ერთი ბოლოთი შეერთებული იყო ვენასთან (ამ შემთხვევაში ბარძაყის ვენასთან), მეორე ბოლოთი კი არტერიასთან. ვენიდან სისხლი გადმოდიოდა ოქსიგენატორში, სადაც იჟანგებოდა ჟანგბადით და „ხელოვნური გულის“ საშუალებით იგზავნებოდა ბარძაყის არტერიაში. ამ შემთხვევაში რეგიონალური პერფუზია — სისხლის ადგილობრივი იზოლირებული მოძრაობა — გამოყენებული იყო იმისათვის, რომ პრეპარატ სარკოლიზინს ლოკალურად ემოქმედნა და ორგანიზმში არ გავრცელებულიყო. ოპერაციის შედეგი დადებითი აღმოჩნდა, ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა და მისი შედეგები აღგილობრივმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს.

თბილისში დაბრნენების შემდეგ ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მე-3 ქირურგიული განყოფილების ორდინატორი გ. ფირცხალავა კვლავ განაგრძობს მუშაობას მის მიერ შექმნილი „ხელოვნური გულის“ სრულყოფისა და გაუმჯობესებაზე, აგრეთვე მის პრაქტიკაში დანერგვაზე.

...რა არის „ხელოვნური გული“? როგორია მისი ოქმედება, გამოყენების პერსპექტივები? აი რას ამბობს ამის შესახებ გრიგოლ ფირცხალავა:

— ხელოვნურ გულს ვიყენებთ იმ შემთხვევაში, როცა გულის მკვეთრად გამოხატული უკმარისობაა და ავადმყოფი განწირულია. „ხელოვნური გული“ შეიძლება გამოითშოს გულის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მხარე და მთლიანად გულიც. ვინაიდან მარცხენა გული უფრო მეტ ენერგიასა და ძალას ხარჯავს, ამიტომ მეცნიერებმა უპირველესად მიაღწიეს მის გამოთიშვას დიდი ხნის მანძილზე. დაავადებულ მარცხენა გულს შეუძლია დაისვენოს და ჩატარებული მედიკამენტური მკურნალობით მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. თუ კლინიკურად დადგინდება გულის ფუნქციის მკვეთრი გაუმჯობესება, მაშინ „ხელოვნური გული“ ამოითიშება, ხოლო ადამიანის გული კვლავ განაგრძობს თავის ფუნქციას.

„ხელოვნურმა გულმა და ფილტვებმა“ ოპერაციის დროს უნდა შეცვალოს ადამიანის გული, ოპერაციის შემდეგ კი ორგანიზმში ჩაიდგმება პორტატიული მცირეგაბარიტიანი „ხელოვნური გული“, შეერთებული სისხლის ძარღვებთან, რომელიც ხანგრძლივად იმუშავებს — ვიდრე დაავადებული გული თავის ფუნქციას აღიდგენდეს. გამოჯანმრთელდებოდეს. მსოფლიოს მეცნიერებს შორის სხვადასხვა აზრი არსებობს ძრავის თაობაზე. რაზე იმუშაოს მან — ელექტრობაზე, ატომზე თუ სხვა ენერგიაზე. მთავარი აქ ის არის, რომ პრაქტიკულად უკვე არსებობს პორტატიული გულის შექმნის საშუალება. ახლა საჭიროა ამ გზით მუშაობის წარმართვა და გაგრძელება.

მართალია ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა რჩება გადასაწყვეტი, მაგრამ „ხელოვნური გულის“ დახმარებით გულის მკურნალობა ჩქარი ნაბიჯებით მიდის წინ. ამაში დარწმუნდებით, როდესაც მ. დე ბეკის მიერ წარმატებით ჩატარებულ ოპერაციაზე მოგითხრეთ. ამერიკელი მეცნიერი, და არა მარტო იგი, განაგრძობს ამ საკითხზე მუშაობას, სასურველია ჩვენშიც დამზადდეს მცირეგაბარიტიანი „ხელოვნური გული“ გულის ხანგრძლივად შეცვლისათვის.

...გაიკვლის დრო და გულის ბევრი მძიმე დაავადება, შიშის ზარს რომ სცემს ადამიანებს, ალბათ ისევე მოსაგონებლად დარჩება, როგორც საშინელი, მაგრამ დღეს უკვე დამარცხებული ათასგვარი სენი.

ეს მარტო ოცნება როდია.

ო. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.



ᲡᲣᲒᲝᲢᲘᲪᲐᲨᲘ, ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

დღეს იუგოსლავიის ქ. სუბოტიცაში გაიხსნება ჭადრაკში მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი ქალთა შორის. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ **ნ. ალექსანდრია, ტ. ზატულოვსკაია, ა. კუშნირი, ვ. კოზლოვსკაია** და **ა. კისლოვა.**

საბჭოთა მოჭადრაკეები მოსკოვიდან იუგოსლავიაში 4 სექტემბერს გაემგზავრნენ და იმავე დღეს სუბოტიცაში ჩავიდნენ. **ნ. ალექსანდრიას** მწვრთნელია ოსტატი **ბ. გურგენიძე.**

ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ საკავშირო ტურნირებიდან ყველაზე მასობრივ შეჯიბრებას „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა წარმოადგენს. ამ შეჯიბრებაზე საქართველო წარმოდგენილია ცხრა კოლექტივით და ცხრავე გაერთიანებულია მეოთხე ზონაში. მიუხედავად ამ რიცხობრივი უმრავლესობისა ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მაჩვენებლები არც თუ სახარბიელოა.

ძირითადი მეტოქეობა ლიდერობისათვის მახარკალის „დინამოსა“ და კისლოვოდსკის „სპარტაკს“ შორის მიმდინარეობს. დღეისათვის თვითეულ მათგანს 28 თამაშიდან 42 ქულა აქვს. ბურთების უკეთესი სხვაობით წინ არის მახაჩყალის „დინამო“. მომდევნო ორ ადგილზე მყოფი გუნდები — კიროვაკანის „ლოკომ“ და პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელი“. ლიდერებს 5-5 ქულით ჩამორჩებიან. მეხუთე და მეექვსე ადგილები თანმიმდევრულად უკავიათ გორის „დილასა“ და სოხუმის „დინამოს“. პირველს 28 თამაშიდან 35 ქულა აქვს, მეორეს — 33 ქულა.

როგორია ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენი გუნდების მდგომარეობა?

ქობულეთის „შუქურას“ 26 ქულით მეათე ადგილი უკავია, ლანჩხუთის „გურიას“ 25 ქულით — მეთორმეტე, რუსთავის „მეტალურგს“ 24 ქულით მეთხუთმეტე, ზუგდიდის „ენგურს“ 22 ქულით— მეჩვიდმეტე, ფოთის „ყოლხეთს“ 16 ქულით — მეთვრამეტე, ქიაურის „მაღაროელს“ ამდენივე ქულით — მეცხრამეტე, გურჯაანის „ალაზანს“ 15 ქულით — უკანასკნელი — მეოცე ადგილი.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

⊙ ᲚᲘᲕᲝᲠᲜᲝᲕᲝ გრძელდება ევროპის თასის გათამაშება შაშში, სხვებთან ერთად იქ გამოდიან საბჭოთა გროსმაისტერები **ი. კუპერმანი, ვ. ᲨᲕᲔᲒᲠᲔᲚᲘ** და **ა. ᲐᲜᲓᲠᲔᲘᲙᲘ.** გადამაშდა შვედი ტური. წინ არიან **ი. კუპერმანი** და ჰოლანდიელი **ა. ხეიბრანდსი,** რომელსაც ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ. **ვ. ᲨᲕᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ** 6 ქულა აქვს, **ა. ᲐᲜᲓᲠᲔᲘᲙᲘᲡ** — 5,5 ქულა.

⊙ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძღოლსანთა ასპარეზობა, შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ესტონელი სპორტსმენი ᲔᲠᲘᲜᲘ ᲔᲠᲘᲜᲘ, რომელმაც 800 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 03,6 წამში და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა. კიდევ ორი შედეგია აღსანიშნავი. 200 მეტრზე რბენაში Ე. ᲡᲐᲛᲘᲢᲡᲝᲕᲐᲛ აჩვენა დრო — 23,5 წამი, არმიელმა სპორტსმენმა Ა. ᲛᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐმ 5.000 მეტრი გაირბინა 13 წუთსა და 34,8 წამში და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დამყარა. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ცნობილ სტაიერს Შ. ᲯᲣᲚᲘᲡ და უდრიდა 13 წუთსა და 35 წამს.

⊙ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ მეორე ნახევარში თბილისში გაიმართება მატჩი სსრ კავშირისა დ ინგლისის მცურავთა ნაკრებ გუნდებს შორის. ჩვენი ქვეყნის ნაკრების ერთი ჯგუფი უკვე ეწვია თბილისს და აქ გადის წვრთნას. ამ ჯგუფში არიან — **ბ. ᲞᲠᲝᲜᲖᲣᲛᲔᲜᲬᲘᲙᲝᲕᲐ, Ვ. ᲐᲜᲐᲨᲙᲘᲜᲐ, Ა. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ** და **სხვები.**

ᲓᲦᲔᲡ ᲢᲣᲠᲙᲣᲨᲘ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი რამდენიმე დღეა ფინეთის ქალაქ ტურკუში იმყოფება. დღეს იქ ჩვენს გუნდს „კუბატას“ სტადიონზე ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი ექნება ფინეთის ეროვნულ ნაკრებთან. როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა ნაკრებმა სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო ზედიზედ საკუთარ მოედანზე და 6 ქულით ლიდერია.

ფინეთის ნაკრებს ახლახან გაეცნენ ფეხბურთის მოყვარულები მოსკოვში. მათ წაიგეს შეხვედრა 0:2, მაგრამ უურადღება მიიპყრო სტუმართა დაცვის ორგანიზებულმა თამაშმა. საინტერესოა ვიცოდეთ ფინეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ᲝᲚᲐᲕᲘ ᲚᲐᲙᲡᲝᲜᲔᲜᲘᲡ აზრი დღევანდელ მატჩზე, აი რა განაცხადა გაზეთ „ჰელსინგინ სანომატში“: „ტურკუს მომავალი მატჩის შედეგის განსაზღვრა ძნელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ 6 სექტემბერს ფინეთის ნაკრები ითამაშებს ბევრად უკეთესად, ვიდრე 30 აგვისტოს მოსკოვში...“

**სსრ კავშირის ნაკრები, მისი უფროსი მწვრთნელი მ. ᲘᲐᲙᲣᲨᲘᲜᲘ სულ სხვა აზრის არიან. მათ სჯერათ, რომ მოწინააღმდეგ